

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.შესავალი 9

2.მომზადების საფუძვლები 10

3.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 10

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 19

5.წინა პერიოდის შეცდომების გასწორება 20

6.ამონაგები 21

7.რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 22

8.სხვა საოპერაციო ხარჯები 22

9.ფინანსური შემოსავალი 23

10.ფინანსური ხარჯი 23

11.გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საგადასახადო (ხარჯი) / სარგებელი 23

12.ძირითადი საშუალებები 24

13.საწარმოთა გაერთიანება 25

14. იჯარები 26

15. გაცემული სესხები 27

16. მარაგები 28

17. სხვა მიმდინარე აქტივები 28

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 29

19. ფული და ფულის ეკვივალენტები 29

20. მიღებული სესხები 29

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 30

22. ფინანსური რისკის მართვა 35

23.ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები 34

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 35

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები 36

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვა 37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დუთი ფრი ჯორჯია“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ დაგვიქირავეს აუდიტის ჩასატარებლად შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფმა შეიძინა თამბაქოს წარმოების დანადგარები. ჯგუფმა ეს დანადგარები 2021, 2020 და 2019 წლების განმავლობაში მომავალი გადახდის პირობით გადაყიდა ერაყის სახელმწიფოში რეგისტრირებულ კომპანია Bean Co.-ზე. აღნიშნული ოპერაციის შედეგად 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია მოთხოვნა 84,187,255 და 78,236,317 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული პროცედურებით მოვიპოვეთ შესაფერისი და საკმარისი რწმუნება აღნიშნული მოთხოვნის ღირებულებაზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია მარაგების მიმართ იყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული თვითღირებულების განსხვავებულ ფორმულას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ გაკეთებულა სათანადო კორექტირებები, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანის მიზნებისთვის. შესაბამისად, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შექმნისას დარღვეულია ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიდგომა. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნული მარაგის ნაწილზე და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

მნიშვნელოვანი გარემოება

შესადარის ინფორმაციის კორექტირება: 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ

აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი პირობითი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ

პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

2025 წლის 30 მაისი

თბილისი, საქართველო

პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

2025 წლის 30 მაისი

თბილისი, საქართველო



შპს „დღითი ფრი ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023* (გადაანგარიშებული)
ამონაგები	6	59,911,810	53,772,427
სხვა შემოსავალი		-	27,275
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(38,588,856)	(32,469,337)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(7,497,534)	(5,070,683)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,463,910)	(4,946,140)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(3,127,881)	(3,575,179)
საოპერაციო მოგება		4,233,629	7,738,363
ფინანსური შემოსავალი	9	7,184,691	8,307,336
ფინანსური ხარჯი	10	(6,261,545)	(5,004,722)
ზარალი საკუროს სხვაობებიდან, წმინდა		(2,436,187)	(902,347)
გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯი	11	(903,320)	(614,923)
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(197,059)	-
მოგების გადასახადის ხარჯი		206,085	91,047
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		1,826,294	9,614,754
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(1,247,474)	2,254,222
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		578,820	11,868,976
წმინდა (ზარალი) / მოგება მისაკუთვნიებელი:		1,826,294	9,614,754
ჯგუფის მესაკუთრეებზე		1,826,493	9,615,037
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(199)	(283)
მთლიანი სრული (ზარალი) / შემოსავალი მისაკუთვნიებელი:		578,820	11,868,976
ჯგუფის მესაკუთრეებზე		579,055	11,868,968
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(235)	8

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
დირექტორი

ნატა მელიწკაური
ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2024	2023* (გადაანგარიშებული)
ამონაგები	6	59,911,810	53,772,427
სხვა შემოსავალი		-	27,275
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(38,588,856)	(32,469,337)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(7,497,534)	(5,070,683)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,463,910)	(4,946,140)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(3,127,881)	(3,575,179)
საოპერაციო მოგება		4,233,629	7,738,363
ფინანსური შემოსავალი	9	7,184,691	8,307,336
ფინანსური ხარჯი	10	(6,261,545)	(5,004,722)
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა		(2,436,187)	(902,347)
გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯი	11	(903,320)	(614,923)
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(197,059)	-
მოგების გადასახადის ხარჯი		206,085	91,047
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		1,826,294	9,614,754
წარსადაგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(1,247,474)	2,254,222
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		578,820	11,868,976
წმინდა (ზარალი) / მოგება მისაკუთვნიებელი:		1,826,294	9,614,754
ჯგუფის მესაკუთრეებზე		1,826,493	9,615,037
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(199)	(283)
მთლიანი სრული (ზარალი) / შემოსავალი მისაკუთვნიებელი:		578,820	11,868,976
ჯგუფის მესაკუთრეებზე		579,055	11,868,968
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(235)	8

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი

დირექტორი



ნატა მელიწკაური

ფინანსური მენეჯერი



შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი* 2023	31 დეკემბერი* 2022
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი		10,290,301	10,290,301	-
ძირითადი საშუალებები	12	8,105,188	8,827,920	5,255,283
აქტივის გამოყენების უფლება	14	52,642,322	38,302,790	20,311,916
არამატერიალური აქტივები		27,843	33,894	17,792
გაცემული სესხები	15	-	-	422,766
გადავადებული მოგების გადასახადი		441,535	212,532	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	-	78,236,317	68,124,747
სულ გრძელვადიანი აქტივები		71,507,189	135,903,754	94,132,504
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	16	16,225,701	22,679,503	10,537,100
გაცემული სესხები	15	49,117	264,348	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		249,272	470,409	240,407
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	86,148,726	617,073	1,119,157
სხვა მიმდინარე აქტივები	17	1,229,607	850,563	611,616
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	1,310,666	985,289	1,067,286
სულ მიმდინარე აქტივები		105,213,089	25,867,185	13,575,566
სულ აქტივები		176,720,278	161,770,939	107,708,070
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	-	-	2,996,399
საიჯარო ვალდებულებები	14	62,287,385	41,518,941	23,973,880
მიღებული სესხები	20	196,054	116,223	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62,483,439	41,635,164	26,970,279
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	22,683,351	24,191,217	7,356,993
საიჯარო ვალდებულებები	14	7,878,457	10,425,390	7,221,988
მიღებული სესხები	20	5,950,679	8,373,401	882,027
სულ მიმდინარე ვალდებულებები		36,512,487	42,990,008	15,461,008
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,509,542	1,509,542	1,509,542
გაუნაწილებელი მოგება		77,244,319	75,417,826	65,802,789
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(1,028,193)	219,281	(2,034,941)
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნიელი კაპიტალი		77,724,352	77,145,767	65,276,783
არამაკონტროლებელი წილი		(1,316)	(882)	(607)
სულ კაპიტალი		77,724,352	77,145,767	65,276,783
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		176,720,278	161,770,939	107,708,070

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 და 2022 წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგ
დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
დირექტორი

ნატა მელიწკაური
ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი* 2023	31 დეკემბერი* 2022
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი		10,290,301	10,290,301	-
ძირითადი საშუალებები	12	8,105,188	8,827,920	5,255,283
აქტივის გამოყენების უფლება	14	52,642,322	38,302,790	20,311,916
არამატერიალური აქტივები		27,843	33,894	17,792
გაცემული სესხები	15	-	-	422,766
გადავადებული მოგების გადასახადი		441,535	212,532	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	-	78,236,317	68,124,747
სულ გრძელვადიანი აქტივები		71,507,189	135,903,754	94,132,504
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	16	16,225,701	22,679,503	10,537,100
გაცემული სესხები	15	49,117	264,348	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		249,272	470,409	240,407
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	86,148,726	617,073	1,119,157
სხვა მიმდინარე აქტივები	17	1,229,607	850,563	611,616
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	1,310,666	985,289	1,067,286
სულ მიმდინარე აქტივები		105,213,089	25,867,185	13,575,566
სულ აქტივები		176,720,278	161,770,939	107,708,070
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	-	-	2,996,399
საიჯარო ვალდებულებები	14	62,287,385	41,518,941	23,973,880
მიღებული სესხები	20	196,054	116,223	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62,483,439	41,635,164	26,970,279
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	22,683,351	24,191,217	7,356,993
საიჯარო ვალდებულებები	14	7,878,457	10,425,390	7,221,988
მიღებული სესხები	20	5,950,679	8,373,401	882,027
სულ მიმდინარე ვალდებულებები		36,512,487	42,990,008	15,461,008
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,509,542	1,509,542	1,509,542
გაუნაწილებელი მოგება		77,244,319	75,417,826	65,802,789
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(1,028,193)	219,281	(2,034,941)
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნიელი კაპიტალი				
არამაკონტროლებელი წილი		(1,316)	(882)	(607)
სულ კაპიტალი		77,724,352	77,145,767	65,276,783
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		176,720,278	161,770,939	107,708,070

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 და 2022 წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგ დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
დირექტორი



ნატა მელიწკაური
ფინანსური მენეჯერი



შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	სულ მესაკუთრეთა კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022*	1,509,542	65,802,789	(2,034,941)	65,277,390	(607)	65,276,783
წლის ზარალი	-	9,615,037	-	9,615,037	(283)	9,614,754
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,254,222	2,254,222	8	2,254,230
31 დეკემბერი 2023*	1,509,542	75,417,826	219,281	77,146,649	(882)	77,145,767
წლის მოგება	-	1,826,493	-	1,826,493	(199)	1,826,294
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	(1,247,474)	(1,247,474)	(235)	(1,247,709)
31 დეკემბერი 2024	1,509,542	77,244,319	(1,028,193)	77,725,668	(1,316)	77,724,352

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 და 2022 წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
 დირექტორი

ნატა მელიწკაური
 ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	სულ მესაკუთრეთა კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022*	1,509,542	65,802,789	(2,034,941)	65,277,390	(607)	65,276,783
წლის ზარალი	-	9,615,037	-	9,615,037	(283)	9,614,754
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,254,222	2,254,222	8	2,254,230
31 დეკემბერი 2023*	1,509,542	75,417,826	219,281	77,146,649	(882)	77,145,767
წლის მოგება	-	1,826,493	-	1,826,493	(199)	1,826,294
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	(1,247,474)	(1,247,474)	(235)	(1,247,709)
31 დეკემბერი 2024	1,509,542	77,244,319	(1,028,193)	77,725,668	(1,316)	77,724,352

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 და 2022 წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
დირექტორინატა მელიწკაური
ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დღითი ფრი ჯორჯია“
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,826,294	9,614,754
კორექტირებები:			
ფინანსური ხარჯი	10	6,261,545	5,004,722
ფინანსური შემოსავალი	9	(7,184,691)	(8,307,336)
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	45,087
წმინდა მოგება აქტივის გამოყენების უფლების გასვლიდან		-	(53,928)
ფინანსური აქტივის გაუფასურება		-	474,000
ცვეთა და ამორტიზაცია		6,463,910	4,946,140
მარაგების აღდგენა/ჩამოწერა		34,461	(74,689)
გასაყიდად გამოუსადეგარი მარაგების ჩამოწერის ხარჯი		548,055	-
საექვო მოთხოვნების აღდგენა		(1,552,796)	-
წმინდა ზარალი საკუროს სხვაობიდან		2,436,187	902,347
მოგების გადასახადის ხარჯი		(206,085)	(91,047)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		8,626,880	12,460,050
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		192,442	1,257,735
მარაგების შემცირება		5,669,915	(10,342,287)
სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება		(396,375)	(390,601)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება/(ზრდა)		221,138	(221,030)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,776,200)	345,485
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		12,537,800	3,109,352
მიღებული პროცენტები მიმდინარე საბანკო ანგარიშზე		1,387	1,042
გადახდილი პროცენტები მიღებულ სესხებზე	20	(494,341)	(294,773)
გადახდილი პროცენტები საიჯარო ვალდებულებებზე	14	(7,606,582)	(6,280,738)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობისთვის გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		4,438,264	(3,465,117)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
გაცემული სესხების ზრდა	15	(212,364)	(448,908)
გაცემული სესხების შემცირება	15	421,854	369,669
მიღებული პროცენტები სესხებიდან	20	15,937	16,537
ძირითადი საშუალების შეძენა		(509,770)	(2,495,619)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		-	277,552
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,035)	(20,794)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(293,378)	(2,301,563)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხის აღება	20	25,690,469	33,266,760
სესხის ძირის დაფარვა	20	(27,961,977)	(26,055,355)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,271,508)	7,211,405
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		1,873,378	1,444,725
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	985,289	1,067,286
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		(1,575,555)	(1,637,830)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		27,554	111,108
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	1,310,666	985,289

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
 დირექტორი

ნატა მელიწკაური
 ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დღითი ფრი ჯორჯია“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,826,294	9,614,754
კორექტირებები:			
ფინანსური ხარჯი	10	6,261,545	5,004,722
ფინანსური შემოსავალი	9	(7,184,691)	(8,307,336)
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	45,087
წმინდა მოგება აქტივის გამოყენების უფლების გასვლიდან		-	(53,928)
ფინანსური აქტივის გაუფასურება		-	474,000
ცვთა და ამორტიზაცია		6,463,910	4,946,140
მარაგების აღდგენა/ჩამოწერა		34,461	(74,689)
გასაყიდად გამოუსადეგარი მარაგების ჩამოწერის ხარჯი		548,055	-
საექვო მოთხოვნების აღდგენა		(1,552,796)	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		2,436,187	902,347
მოგების გადასახადის ხარჯი		(206,085)	(91,047)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		8,626,880	12,460,050
ცვლილებები საშუალო კაპიტალში			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		192,442	1,257,735
მარაგების შემცირება		5,669,915	(10,342,287)
სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება		(396,375)	(390,601)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება/(ზრდა)		221,138	(221,030)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,776,200)	345,485
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		12,537,800	3,109,352
მიღებული პროცენტები მიმდინარე საბანკო ანგარიშზე		1,387	1,042
გადახდილი პროცენტები მიღებულ სესხებზე	20	(494,341)	(294,773)
გადახდილი პროცენტები საიჯარო ვალდებულებებზე	14	(7,606,582)	(6,280,738)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობისთვის გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		4,438,264	(3,465,117)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
გაცემული სესხების ზრდა	15	(212,364)	(448,908)
გაცემული სესხების შემცირება	15	421,854	369,669
მიღებული პროცენტები სესხებიდან	20	15,937	16,537
ძირითადი საშუალების შეძენა		(509,770)	(2,495,619)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		-	277,552
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,035)	(20,794)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(293,378)	(2,301,563)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხის აღება	20	25,690,469	33,266,760
სესხის ძირის დაფარვა	20	(27,961,977)	(26,055,355)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,271,508)	7,211,405
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		1,873,378	1,444,725
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	985,289	1,067,286
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		(1,575,555)	(1,637,830)
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		27,554	111,108
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	1,310,666	985,289

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 მაისს:

ფარუკ ილმაზი
 დირექტორი



ნატა მელიწკაური
 ფინანსური მენეჯერი



შენიშვნები 9-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

(ა) კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“ (ს/ნ: 404395141) დაფუძნდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2011 წლის 11 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესიკის ქ. N4 მიმდებარედ (ნაკვეთი N46/10).

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ მფლობელები და საბოლოო მესაკუთრეები წარმოდგენილია შემდეგნაირად::

მფლობელები	2024	2023	2022
აბდულქადირ ქეთენჯი	75%	75%	75%
შამშე კალანდაძე	25%	25%	25%
სულ	100 %	100 %	100 %

კომპანიის მიერ ფლობილი წილები სხვა საწარმოში არის შემდეგი:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2024	2023	2022	საქმიანობის სახე
Golden Duty Free S.A.*	შვილობილი	99.97%	99.97%	99.97%	სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია
Duty free helios s.r.o	შვილობილი	100%	100%	-	სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია
ООО "Хелиос Дьюти Фри"	შვილობილი	100%	100%	-	სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია

(*) 2018 წლის 1 მარტს კომპანიამ გააფორმა საფონდო ბირჟაზე ნასყიდობის ხელშეკრულება Vistros INTL FZC– სთან და შეიძინა 3,199 აქცია (3,200 სულ) Golden Duty Free SA-ში. Golden Duty Free S.A. ამუშავებდა კიოსკის ტიპის მაღაზიებს, რომლებიც მდებარეობდა სილვო პეტროსის აეროპორტში, ლუკე, პარაგვაი. 2020 წლის განმავლობაში ჩატარდა ოფიციალური ტენდერი სილვო პეტროსის აეროპორტში განთავსებული მაღაზიებისთვის, რომელიც Golden Duty Free S.A-მ ვერ მოიგო, შესაბამისად მან ვერ შეძლო ოპერირების გაგრძელება. ხელმძღვანელობას, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის მომენტისათვის, დაწყებული აქვს შვილობილი საწარმოს ლიკვიდაციის პროცედურები, თუმცა პროცესი დასრულებული არ არის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საქმიანობა: ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა კატეგორიის საქონლის: თამბაქოს ნაწარმი, კოსმეტიკა, სუნამოები, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების, იმპორტი და რეალიზაცია. შპს დუთი ფრი ჯორჯია მუშაობს თავისუფალ სავაჭრო ზონებში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის № 455 დადგენილებით - საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს 9 თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი რომლებიც მდებარეობს საქართველოს სასაზღვო პუნქტებში და საზღვარგარეთ.

- წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)
- სადახლო (სომხეთის საზღვარი)
- სარფი (თურქეთის საზღვარი)
- ვალე (თურქეთის საზღვარი)
- კარწახი (თურქეთის საზღვარი)
- ნინოწმინდა (სომხეთის საზღვარი)
- ბიშკეკის საერთაშორისო აეროპორტი (ყირგიზეთი, ბიშკეკი)
- ოშის აეროპორტი (ყირგიზეთი, ბიშკეკი)
- ბრატისლავას საერთაშორისო აეროპორტი (სლოვაკეთი, ბრატისლავა)

2. მომზადების საფუძვლები

(ა) ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია ჯგუფისთვის.

გ) კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილ კომპანიას წარმოადგენს ისეთი საწარმო, სადაც მშობელ საწარმოს გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ საწარმოზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი საწარმო კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შემენის აღსარიცხად გამოიყენება შემენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში რომელიც არ ეკუთვნის მშობელ საწარმოს. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი ჯგუფის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება მშობელი საწარმოს მფლობელებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) საანგარიშგებო და ფუნქციონალური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა. ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ევრო, რომლის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ვალუტა, რომელიც გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების გასაყიდ ფასებზე. ჯგუფი მის საფაქრო ქსელში განთავსებულ პროდუქტს პირველად ოფერს სთავაზობს ევროში.
- ვალუტა, რომელიც გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების უზუნველყოფასთან დაკავშირებულ დანახარჯებზე. ჯგუფი მის ძირითად მომწოდებლებთან ანგარისწორების ვალუტას წარმოადგენს ევრო.
- ვალუტა, რომელშიც მიიღება სახსრები საფინანსო საქმიანობიდან. ჯგუფის სახსრთა ვალდებულებების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია ევროში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რომელიც არის ჯგუფის საოჯარო ხელშეკრულებების აბსოლუტური უმრავლესობის ვალუტა და რომელშიც ხდება მარაგებისა და ქონების ობიექტების განფასება საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე. კომპანია სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტას იყენებს, რადგან მისი აზრით, ეს ვალუტა უფრო აქტუალურ და სათანადო ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს.

(ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 USD/EUR	0.9578	0.9039	0.9368
1 GEL/EUR	0.3412	0.3361	0.3467

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/EUR	0.9242	0.9248
1 GEL/EUR	0.3397	0.3519

(გ) შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(დ) საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

(ე) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალს საქონლის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვა - მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი იყიდება მომხმარებლებზე თავისუფალ ვაჭრობის პუნქტებში „გაყიდვის წერტილში“ (POS – Point of Sale). კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე „გაყიდვის წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულადი სახსრების მიღების/საკრედიტო ბარათით გადახდის სანაცვლოდ.

ამონაგები აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. ჯგუფი შემოსავლად აღიარებს გარიგების ღირებულების ოდენობას, რაც გამოირიცხავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და შეღავათების გამოკლებით.

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

(ვ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შევსებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

(ზ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

(თ) მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

20 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვეითებით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემდე მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

(ი) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ჯგუფი არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო ვადა(წელი)
შენობა-ნაგებობები	49
მაღაზიების, ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-7

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფი ფლობს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს.

(ი) საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

მშობელმა კომპანიამ საწარმოთა თითოეული გაერთიანება უნდა ასახოს შემენის მეთოდით.

თითოეული საწარმოთა გაერთიანებისთვის მყიდველმა საწარმომ შემენის თარიღისთვის უნდა შეაფასოს შემენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის კომპონენტები, რომლებიც არსებული საკუთრების წილებია და მფლობელებს შემენილი საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიღების უფლებას ანიჭებს მისი ლიკვიდაციის დროს: რეალური ღირებულებით; ან როგორც ძალაში შესული ინსტრუმენტების პროპორციული წილი შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოქმნის მომენტისთვის და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ მან შეისყიდა ბიზნესი, როდესაც შემენილი იქნა: რესურსები რომლებსაც ბიზნესი იყენებს ფუნქციონირებისთვის; არსებითი პროცესები აქტივობები ან მეთოდები, რომლებიც აქცევს რესურსს ღირებულად, როგორცაა პროდუქტი ან მომსახურება.

ჯგუფმა ბიზნესის შემენას, ფინანსური აქტივებს და ვალდებულებებს მიანიჭა შესაბამისი კლასიფიკაცია კონტრაქტის პირობების, ეკონომიკური გარემოებების და სხვა შესაბამისი პირობების შესაბამისად შემენის თარიღისთვის.

ჯგუფმა აღიარა გუდვილი, შემენის თარიღისთვის შეფასებული ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:

- ▶ გადაცემული კომპენსაცია, რომელიც საზოგადოდ საჭიროებს რეალური ღირებულებით შეფასებას შემენის თარიღით;
- ▶ ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შემენილ საწარმოში; და
- ▶ ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში შემენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება, შემენის თარიღისთვის შეფასებული.
- ▶ შეფასებული შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შემენის თარიღისათვის.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გუდვილი ფასდება აღიარებულ თანხას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალის პრინციპით. გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, საწარმოთა გაერთიანებაში შემენილი გუდვილი შემენის თარიღიდან ნაწილდება ჯგუფის თითოეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე, რომლებიც სავარაუდოა რომ სარგებელს მიიღებენ საწარმოთა გაერთიანებისგან.

თუ გუდვილი გამოყოფილია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე და ამ ერთეულის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების ნაწილი გაიყიდა, გაყიდულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი შედის ტრანზაქციის საბალანსო ღირებულებაში მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. ამ პირობებში გაყიდული გუდვილი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელებება)

ფასდება გაყიდული ტრანზაქციის ფარდობითი ღირებულებისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შენახული ნაწილის საფუძველზე.

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება, გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

(ლ) იჯარა

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად ჯგუფმა უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ლ) იჯარა (გაგრძელება)

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების

დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოიყენოს გათავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

(მ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

(ო) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

(რ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღირიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღირიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(რ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გასახვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

დებიტორული დავალიანებების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(რ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ს) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ტ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(უ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- ▶ გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- ▶ კანონმდებლობიდან; ან
- ▶ სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- ▶ წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- ▶ შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ფ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ტ) ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

(უ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შერეული პოლიტიკა მზადდება ისეთივე წესებით, როგორც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში იყო გამოყენებული.

დასრულებული და 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტების და ასევე ისეთი ახალი სტანდარტების აღწერა, რომელთა ადრე გამოყენებაც კომპანიას აქვს შესაძლებლობა:

დასრულებული და 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტების და ასევე ისეთი ახალი სტანდარტების აღწერა, რომელთა ადრე გამოყენებაც კომპანიას აქვს შესაძლებლობა:

IFRS 16-ის ცვლილებები – ქირავნობის ვალდებულება გაყიდვა-და-ქირავნობის უკან ტრანზაქციაში IFRS 16-ის ცვლილებები განსაზღვრავენ მოთხოვნებს, რომელი წესით უნდა შეფასდეს ქირავნობის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა გაყიდვა-და-ქირავნობის უკან ტრანზაქციებში. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ გამყიდველი-ქირავნობის მიმღები არ აღიარებს მოგებას ან ზარალს შენარჩუნებული გამოყენების უფლებით.

IAS 1-ის ცვლილებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და არაჯერობით IAS 1-ის ცვლილებები ასაჯაროებს ვალდებულებების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს მიმდინარე და არაჯერობით კატეგორიებად. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება გადახდის გადავადების უფლებით;
- რომ ეს უფლება უნდა არსებობდეს ანგარიშგების პერიოდს შეწყვეტის დროს;
- რომ კლასიფიკაცია არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სავარაუდოა, რომ კომპანიამ გამოიყენოს გადავადების უფლება;
- რომ თუ გარდაუვალი ვალდებულება შეიცავს წარმოებას, რომელიც არის ჯგუფის ინსტრუმენტი, ეს არ გავლენას ახდენს კლასიფიკაციაზე. კომპანია ვალდებულია გაამხილოს, როდესაც ვალდებულება სესხის ხელშეკრულებიდან კლასიფიცირდება არაჯერობით, მაგრამ გადავადების უფლება შეზღუდულია მომავალი კოვენანტების შესრულების მიხედვით მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

მომწოდებელთა ფინანსური შეთანხმებები – IAS 7 და IFRS 7-ის ცვლილებები IAS 7-ის (გადასახდელი ფულის ჩანაწერები) და IFRS 7-ის (ფინანსური ინსტრუმენტების გამყდვენება) ცვლილებები ასკვნის მომწოდებელთა ფინანსური შეთანხმებების თვისებებს და ახორციელებენ დამატებით გამყდვენებას. ეს ცვლილებები მიზნად ისახავს მომხმარებლებს დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგებების უკეთ გააზრებაში, როგორ ახდენს მსგავსი შეთანხმებები კომპანიის ვალდებულებებს, ფულადი სახსრების ნაკადებს და ლიკვიდურობის რისკს. აღნიშნული ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებებზე მნიშვნელოვნად არ აისახა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

მიღებული და ჯერ არ ძალაში შესული სტანდარტები და ცვლილებები

არასამქვეყნო ვალუტის პრობლემა – IAS 21-ის ცვლილებები 2023 წლის 15 აგვისტოს IASB-მა გამოაცხადა IAS 21-ის ცვლილებები, რომლებიც ეხება ვალუტის გრძელვადიან არამიწოდებას(exchangeability).

ამ ცვლილებებით ამზადებს რეგულაციებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ვალუტის გაცვლა შეუძლებელია და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეფასდეს გაცვლის კურსი. კომპანია მუშაობს მხოლოდ გაცვლადი ვალუტებით, ამიტომ ამ ცვლილებას ფინანსურ ანგარიშგებებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება.

4. მნიშვნელოვანი სადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება**

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას, იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენას შესაბამისი თავდაპირველი აღიარების თარიღით, დასჭირდება ხარჯის გაწევა და ძალისხმევა. კომპანიამ განსაზღვრა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ანუ სასარგებლო მომსახურების ვადის ECL. კომპანიას ითვლის ECL თანხას სხვა მოთხოვნებზე, ზარალის განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც განისაზღვრება საექსპერტო გადაწყვეტილების საფუძველზე. საექსპერტო განსჯის გამოყენება გონივრულად იქნა მიჩნეული ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც მატრიცის შემუშავების საშუალებას იძლევა. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი მოთხოვნების ნაშთზე იმ პერიოდისთვის, როდესაც თანხის გაანგარიშება ხდება და კლასიფიცირდება როგორც არა-ანაზღაურებადი. ყველა შემთხვევაში, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელები 30 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია. კომპანია თვლის, რომ ფინანსური აქტივი დეფოლტურია, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელი 90 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შესაძლებელია აქტივი დეფოლტურად მაშინაც ჩათვალოს, როდესაც შიდა და გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ სავარაუდოა, კომპანიამ ვერ მიიღოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხები სრულად, კომპანიის მიერ ფლობილ ნებისმიერი საკრედიტო გაუმჯობესებების გათვალისწინებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

უკეთესად წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განახორციელა გარკვეული შეცდომების გასწორება შესადარის ნაშთებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია შეცდომების გასწორების საერთო ეფექტი წინა პერიოდის ნაშთებზე.

შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა მოახდინეს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გუდვილი	11,352,024	(1,061,723)	10,290,301
ძირითადი საშუალებები	7,046,464	1,781,456	8,827,920
აქტივის გამოყენების უფლება	39,694,802	(1,392,012)	38,302,790
არამატერიალური აქტივები	33,134	760	33,894
გაცემული სესხები, გრძელვადიანი მარაგები	16,784,116	(16,784,116)	-
გაცემული სესხები, მოკლევადიანი მარაგები	22,428,694	250,809	22,679,503
გაცემული სესხები, მოკლევადიანი	9,855,099	(9,590,751)	264,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	612,997	4,076	617,073
სხვა მიმდინარე აქტივები	832,663	17,900	850,563
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	(215,779)	(3,502)	(219,281)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(24,184,257)	(6,960)	(24,191,217)
გაუნაწილებელი მოგება	(102,201,888)	26,784,063	(75,417,825)

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (გაგრძელება)

2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,745,071)	(201,069)	(4,946,140)
ფინანსური შემოსავალი	9,966,507	(1,659,171)	8,307,336
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა	(774,106)	(128,241)	(902,347)
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	(21,826)	2,276,048	2,254,222
ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,343,718)	(121,399)	(3,465,117)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,060,719)	(240,844)	(2,301,563)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	7,283,491	(72,086)	7,211,405

შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა მოახდინეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი, 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	4,555,937	699,346	5,255,283
აქტივის გამოყენების უფლება	22,855,696	(2,543,780)	20,311,916
გაცემული სესხები, გრძელვადიანი	17,815,822	(17,393,056)	422,766
მარაგები	10,926,390	(389,290)	10,537,100
გაცემული სესხები, მოკლევადიანი	7,402,526	(7,402,526)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,113,402	5,755	1,119,157
სხვა მიმდინარე აქტივები	656,194	(44,578)	611,616
გაუნაწილებელი მოგება	(90,598,371)	24,795,582	(65,802,789)
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	(237,605)	2,272,546	2,034,941

6. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სარფი	26,980,852	31,160,701
სადახლო	15,212,388	10,793,715
ბიშკეკის საერთაშორისო აეროპორტი	4,489,057	4,085,116
ნინოწმინდა	4,095,783	1,523,467
ბრატისლავას საერთაშორისო აეროპორტი	3,954,642	1,521,759
კარწახი	2,275,052	2,278,786
ვალე	1,290,821	1,441,458
სხვა	1,613,215	967,425
სულ ამონაგები	59,911,810	53,772,427

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ამონაგები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
თამბაქო	32,498,806	32,042,046
ალკოჰოლური სასმელები	18,627,122	14,772,885
კოსმეტიკა და პარფიუმერია	3,513,731	2,953,622
სხვა	5,272,151	4,003,874
სულ ამონაგები	59,911,810	53,772,427

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სარფი	19,033,247	19,853,240
სადახლო	9,985,485	6,451,042
ბიშკეკის საერთაშორისო აეროპორტი	2,399,075	2,092,599
ნინოწმინდა	2,437,542	865,751
ბრატისლავას საერთაშორისო აეროპორტი	1,879,712	773,737
კარწახი	1,547,740	1,415,586
ვალე	898,694	916,921
სხვა	407,361	100,461
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	38,588,856	32,469,337

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
თამბაქო	23,715,139	20,879,873
ალკოჰოლი	10,476,394	7,907,170
სუნამოები და კოსმეტიკა	2,562,642	1,591,185
სხვა	1,834,681	2,091,109
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	38,588,856	32,469,337

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საგადასახადო ხარჯი (მოგების გადასახადის გარდა)	(1,098,589)	(533,074)
გასაყიდად გამოუსადეგარი მარაგების ჩამოწერა*	(548,055)	-
დაზღვევის ხარჯი	(368,238)	(221,605)
კომუნალური ხარჯი	(349,613)	(234,679)
იჯარის ხარჯი	(320,455)	(95,627)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(292,196)	(166,188)
სხვა აქტივის გაუფასურების ხარჯი	-	(474,000)
მარკეტინგული ხარჯი	(202,848)	(198,431)
ტრანსპორტირების ხარჯი	(158,723)	(142,835)
ჯარიმების ხარჯი	(148,768)	-
მომსახურების ხარჯი	(134,844)	(181,726)
რემონტისა და შენახვის ხარჯი	(116,753)	(35,945)
საწვავის ხარჯი	(94,770)	(81,233)
ტვირთის დაცლის ხარჯი	(89,558)	-

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სასამართლო დავასთან დაკავშირებული ანარიცხის ხარჯი	(76,540)	
კომუნიკაციის ხარჯი	(65,547)	(37,837)
მივლინების ხარჯი	(52,505)	(284,591)
ინვენტარის ხარჯი	(52,379)	-
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(256,103)	(606,548)
საექვო მოთხოვნების აღდგენა	1,552,796	-
სხვა	(254,193)	(280,860)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,127,881)	(3,575,179)

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯი	(903,320)	(614,923)
---	------------------	------------------

9. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სხვა მოთხოვნების დისკონტირების ეფექტი (შენიშვნა 18)	7,170,644	8,287,500
გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი (შენიშვნა 15)	12,660	18,794
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	1,387	1,042
სულ ფინანსური შემოსავალი	7,184,691	8,307,336

10. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტები (შენიშვნა 14)	(5,627,086)	(4,379,862)
გრძელვადიანი ვალდებულების დისკონტირების ეფექტის ამორტიზება (შენიშვნა 21)	(138,824)	(322,866)
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი (შენიშვნა 20)	(495,635)	(301,994)
სულ ფინანსური ხარჯები	(6,261,545)	(5,004,722)

11. გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საგადასახადო (ხარჯი) / სარგებელი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, არარეზიდენტი პირისათვის სესხის გაცემა იბეგრება მოგების გადასახადით. თუ მოხდა გაცემული სესხის თანხის დაბრუნება, პირი უფლებამოსილია სესხის თანხის დაბრუნების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა. გაცემულ სესხებზე ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, რომლის დაბრუნებაც მოხდა 2024 წელს დაფარული სესხის თანხის საკომპენსაციოდ შეადგენს 107,241 ლარს (2023 წელს 0 ლარი), ხოლო არარეზიდენტ საწარმოებზე გაცემული ახალი სესხების წილი მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 1,010,561 ლარს (2023 წელი: 614,923 ლარი).

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	შენობა-ნაგებობები	მაღაზიების და ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა*	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი, 2022	3,420,897	2,536,470	942,436	324,253	-	7,224,056
ზრდა	-	2,149,544	346,075	-	-	2,495,619
შიდა მოძრაობა	357,534	-	-	(357,534)	-	-
გასვლა	-	(158)	(343,059)	-	-	(343,217)
ზრდა შვილობილ კომპანიისგან	-	1,971,118	126,886	-	79,692	2,177,696
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	84,745	136,294	26,849	33,281	-	281,169
31 დეკემბერი, 2023	3,863,176	6,793,268	1,099,187	0	79,692	11,835,323
ზრდა	2,600	215,065	190,746	-	101,359	509,770
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	(58,090)	(9,413)	(2,674)	(0)	5,778	(64,399)
31 დეკემბერი, 2024	3,807,686	6,998,920	1,287,259	0	186,829	12,280,694
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2022	(670,821)	(1,277,182)	(20,770)	-	-	(1,968,773)
ცვეთის ხარჯი	(79,945)	(674,898)	(134,623)	-	(15,826)	(905,292)
გასვლა	-	40	20,420	-	-	20,460
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დაგროვილი ცვეთა	-	(41,118)	-	-	(4,206)	(45,324)
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	(35,171)	(68,739)	(4,564)	-	-	(108,474)
31 დეკემბერი, 2023	(785,937)	(2,061,897)	(139,537)	-	(20,032)	(3,007,403)
ცვეთის ხარჯი	(98,120)	(836,245)	(187,039)	-	(17,229)	(1,138,633)
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	574	(22,376)	(5,467)	-	(2,201)	(29,470)
31 დეკემბერი, 2024	(883,483)	(2,920,518)	(332,043)	-	(39,462)	(4,175,506)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2022	2,750,076	1,259,288	921,666	324,253	-	5,255,283
31 დეკემბერი, 2023	3,077,239	4,731,371	959,650	0	59,660	8,827,920
31 დეკემბერი, 2024	2,924,203	4,078,402	955,216	0	147,367	8,105,188

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მაღაზიებისა და ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი ჯამური ისტორიული ღირებულებით 165,840 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 50,035ლარი) სრულადაა გაცვეთილი, თუმცა, კვლავ გამოიყენება ჯგუფის მიერ. სატრანსპორტო საშუალებები ნაწილობრივ დაგირავებულია ბანკის სესხით.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. საწარმოთა გაერთიანება

2023 წლის 31 იანვარს და 9 თებერვალს ჯგუფმა შეიძინა ორი კომპანიის (ООО "Хелиос Дьюти Фри და Duty free helios s.r.o) 100%-იანი წილი, რომლებიც იმავე ბიზნეს საქმიანობას ეწევიან (იხ. შენიშვნა 1)

შესყიდვის თარიღით კომპანიის (ООО "Хелиос Дьюти Фри) მთლიანი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება შეადგენს 0 ლარს; ხოლო გარიგების ფასი 8,105,156 ლარს და შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი არის 8,105,156 ლარი.

შესყიდვის თარიღით კომპანიის (Duty free helios s.r.o) მთლიანი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება შეადგენს 736,235 ლარს; ხოლო გარიგების ფასი 2,921,380 ლარს და შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი არის 2,185,145 ლარი.

მშობელმა კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩაატარა საწარმოს გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვლის გაუფასურების ტესტირება და ინდიკატორები ვერ იქნა დადგენილი. მსჯელობისას ჯგუფის მენეჯმენტმა გაითვალისწინა გარემოებები, არსებული ფინანსური შედეგები და სამომავლო გეგმები შესყიდულ კომპანიებთან მიმართებით.

14. იჯარები

ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ფართები მაღაზიებისა, საწყობებისა და ადმინისტრაციული ოფისისთვის, ასევე რამდენიმე სატრანსპორტო საშუალება. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარსა და ევროში. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონიერულად ვარაუდობს საწყობებისთვის აღებული საიჯარო ფართების შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლების გამოყენებას შესაბამისი ლოკაციაზე არსებული მაღაზიის სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე. იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, ჯგუფს ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელებს.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც ჯგუფი მოქმედებს როგორც მოიჯარე და აღრიცხავს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას წარმოდგენილია ქვემოთ:

	მიწა	კომერციული ფართი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	17,007,157	9,145,297	195,478	26,347,932
დამატება	-	9,341,704	89,940	9,431,644
გასვლა	-	(911,672)	-	(911,672)
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	535,970	733,628	6,160	1,275,758
შვილობილის დამატება		13,878,092		13,878,092
31 დეკემბერი 2023	17,543,127	32,187,049	291,578	50,021,754
დამატება	-	19,293,999	-	19,293,999
მოდიფიკაცია	-	19,289	-	19,289
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	(263,563)	(285,364)	(3,029)	(551,956)
31 დეკემბერი 2024	17,279,564	51,214,973	288,549	68,783,086
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	(2,799,455)	(3,069,166)	(167,395)	(6,036,016)
ცვეთის ხარჯი	(773,335)	(3,202,948)	(53,116)	(4,029,399)
დამატება შვილობილის		(1,348,940)		(1,348,940)
გასვლა	-	364,669	-	364,669
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	(36,807)	(641,204)	8,733	(669,278)

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2023	(3,609,597)	(7,897,589)	(211,778)	(11,718,964)
ცვეთის ხარჯი	(773,335)	(4,501,020)	(36,231)	(5,310,586)
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	116,491	765,657	6,638	888,786
31 დეკემბერი 2024	(4,266,441)	(11,632,952)	(241,371)	(16,140,764)

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2022	14,207,702	6,076,131	28,083	20,311,916
31 დეკემბერი 2023	13,933,530	24,289,460	79,800	38,302,790
31 დეკემბერი 2024	13,013,123	39,582,021	47,178	52,642,322

ჯგუფი ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას ჯგუფი ამყარებს მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ფაქტორები როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში. იჯარის იძულებითი აღსრულების პერიოდის განსაზღვრისას, ჯგუფი ასევე ითვალისწინებს საიჯარო კეთილმოწყობების მიტოვების ან დაშლის ხარჯებს, ადგილმდებარეობის შეცვლის ხარჯს და ა.შ.

ყველა იჯარა არის გაუქმებადი მოიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულებების დაფარვის ვადის დადგომამდე. ჯგუფი გაანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დაასკვნა, რომ იჯარის ვადა უტოლდება პერიოდს სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე.

საიჯარო ვალდებულებები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	7,878,457	10,425,390	7,221,988
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	62,287,385	41,518,941	23,973,880
სულ საიჯარო ვალდებულება	70,165,842	51,944,331	31,195,868

	2024	2023
თავდაპირველი აღიარებისას	51,944,331	31,195,868
დამატება	19,293,999	9,431,645
შვილობილის შეძენის შედეგად დამატებული ნაშთი		13,925,646
გასვლა	-	(600,931)
მოდიფიკაცია	34,877	-
საპროცენტო ხარჯი	5,627,086	4,379,862
გადახდები წლის განმავლობაში	(7,622,170)	(6,280,738)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	440,503	(830,486)
უცხოურ ვალუტაში გადაფასების ეფექტი	447,216	723,465
ნაშთი წლის ბოლოს	70,165,842	51,944,331

15. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15.გაცემული სესხები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
არარეზიდენტებზე გაცემული სესხები*	25,609,662	26,000,282	25,205,933
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები**	49,117	264,348	422,766
გაცემული სესხები გაუფასურება	(25,609,662)	(26,000,282)	(25,205,933)
სულ გაცემული სესხები	49,117	264,348	422,766

(*) - 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გააფორმა ორი სასესხო ხელშეკრულება Zoticus, Inc.- თან (იურიდიული მისამართი: 1158, 26-ე ქუჩა, 838 სანტა მონიკა, კალიფორნია, 90403, შეერთებული შტატები) 7,000,000 და 7,500,000 აშშ დოლარზე. სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 20 იანვარი და 2025 წლის 20 ივნისი, შესაბამისად. საწყისი ხელშეკრულებით სესხებზე მოქმედებდა 2 წლიანი სამელავათო პერიოდი. გაცემულ სესხებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 13.5% და 16%, შესაბამისად. Zoticus, Inc.-ის მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნა კომპანიამ აღიარა გადევლოდებულად, მესამე საფეხურზე მდგომ სესხად 2021 წლის განმავლობაში, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღნიშნულ სესხთან დამაკვირვებით აღიარდა რეტროპერსპექტულად სრული თანხით (იხ. შენიშვნა 5) და კომპანია აღარ არიცხავს პროცენტს ფინანსურ ინსტრუმენტს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	31 დეკემბერი 2024	
	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
	26,264,630	(26,000,282)
გაცემული სესხების ზრდა	212,364	-
გაცემული სესხების ძირის დაფარვა	(421,854)	-
გაცემული სესხების პროცენტის დაფარვა	(15,937)	-
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	12,661	-
ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	1,959	-
წარმომადგენლობით ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	(395,044)	390,620
	25,658,779	(25,609,662)

	31 დეკემბერი 2023	
	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
	25,628,699	(25,205,933)
გაცემული სესხების ზრდა	448,908	-
გაცემული სესხების ძირის დაფარვა	(369,669)	-
გაცემული სესხების პროცენტის დაფარვა	(16,537)	-
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	18,794	-
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	554,435	(794,349)
	26,264,630	(26,000,282)

16. მარაგები

მარაგები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საქონელი საწყობში	6,842,007	6,758,268	3,852,373
საქონელი მაღაზიაში	6,953,120	15,132,313	4,944,626
საქონელი გზაში	2,190,832	676,893	1,588,099
სხვა	239,742	112,029	152,002
სულ მარაგები	16,225,701	22,679,503	10,537,100

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფის ბალანსზე არსებული მარაგები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023	2022
თამბაქო	5,965,051	14,401,202	5,782,051
ალკოჰოლი	4,541,492	4,022,806	2,013,389
სუნამოები და კოსმეტიკა	2,393,671	2,073,829	449,701
სხვა	3,325,487	2,181,666	2,291,959
	16,225,701	22,679,503	10,537,100

17. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სხვა მიმდინარე აქტივები	1,662,526	1,290,085	611,616
გაუფასურების რეზერვი	-432,919	-439,522	
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	1,229,607	850,563	611,616

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ტენდერში მონაწილეობის საფასურს.

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	2,701,816	3,645,666	4,059,719
სხვა მოთხოვნები*	84,238,135	78,236,317	68,124,748
გაუფასურების რეზერვი	(1,519,695)	(3,093,855)	(2,999,333)
სულ ფინანსური მოთხოვნები	85,420,256	78,788,128	69,185,134
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	728,470	65,262	58,770
სულ არაფინანსური მოთხოვნები	728,470	65,262	58,770
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	86,148,726	78,853,390	69,243,904
მოკლევადიანი მოთხოვნები	86,148,726	617,073	1,119,157
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	78,236,317	68,124,747
	86,148,726	78,853,390	69,243,904

(*) - 2019 წლის დეკემბერში მშობელმა კომპანიამ გააფორმა გადაყიდვისა და გირავნობის ხელშეკრულებები კომპანია Bean Co.- სთან (ერაყში რეგისტრირებული კომპანია) თამბაქოს დანადგარების რეალიზაციის მიზნით. 2024 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია, შესაბამისად, თამბაქოს დანადგარები, რომლის ღირებულება 75,278,281 ლარია სრულად გადაგზავნილი და გადაყიდულია მყიდველზე. 2022 წლის განმავლობაში Bean Co. და შპს დუთი ფრი ჯორჯია შეთანხმდნენ გადახდის ახალ გრაფიკზე, რომლის მიხედვითაც კომპანიამ ხელახლა შეაფასა ფინანსური აქტივი გადასინჯული გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე და აღიარა შეფასების ცვლილების ეფექტი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯი ჯამური ღირებულებით 2022 წელს 14,102,109 ლარი. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით Bean Co.-ს (ერაყში რეგისტრირებული კომპანია) მიმართ თამბაქოს დანადგარების რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნები დაკლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი. მოთხოვნის სრულად დაფარვის ვადა ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია 2025 წლის 29 დეკემბერი. Bean Co.-ს მიმართ არსებული მოთხოვნა 2024 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აისახა ამორტიზებადი ღირებულებით, ხოლო საწყისი აღიარება მოხდა რეალური ღირებულებით. ამორტიზაციის ეფექტი

შპს „დუთი ფრი გორჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აისახა მოგებაზარალში საპროცენტო შემოსავლის სახით და შეადგინა 7,170,644 ლარი (2023: 8,287,500 ლარი). დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრა 12.4%-ის ოდენობით.

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	775,325	850,383	832,146
ნაღდი ფული სალაროში	521,616	132,649	235,140
ფული გზაში	13,725	2,257	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,310,666	985,289	1,067,286

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო.

20. მიღებული სესხები

ბანკი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	31.12.2024	31.12.2023
სს ტერა ბანკი	1-May-23	28-Apr-26	9%	დოლარი	36,024	57,814
სს ტერა ბანკი	14-May-24	14-May-29	12.50%	ლარი	229,132	-
სს თიბისი ბანკი	14-Jul-23	22-Mar-24	7%	ევრო	-	1,561,834
სს თიბისი ბანკი- საკრედიტო ხაზი	14-Jul-23	22-Mar-24	7%	ევრო	-	3,866,406
სს თიბისი ბანკი- საკრედიტო ხაზი	11-Dec-23	11-Dec-24	6%	ევრო	-	2,528,563
სს თიბისი ბანკი- საკრედიტო ხაზი	26-Dec-23	26-Aug-24	7%	ევრო	-	393,481
სს თიბისი ბანკი- საკრედიტო ხაზი	11-Dec-24	11-Dec-25	8.5%	ევრო	5,827,269	-
სს თიბისი ბანკი- საკრედიტო ხაზი	26-Jan-24	26-Sep-24	9.80%	ევრო	-	-
ფიზიკური პირი*					54,308	81,526
სულ მიღებული სესხები					6,146,733	8,489,624

ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას:

	2024	2023
1 იანვარი	8,489,624	882,027
ფულადი ნაკადები:		
სესხის აღება	25,690,469	33,266,760
შვილობილის შემენისას აღებული	-	72,087
მიღებული სესხის ძირის გადახდა	(27,961,977)	(26,055,355)
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(494,341)	(294,773)
არაფულადი ნაკადები:	-	-
საპროცენტო ხარჯი	495,635	301,994
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	(17,664)	(4,175)
წარმომადგენლობით ვალუტაში გადაფასების ეფექტი	(55,013)	321,059
31 დეკემბერი	6,146,733	8,489,624

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები და ნაწილობრივ ავტოსატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხის უზრუნველყოფას.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები**	22,502,986	21,016,070	4,186,323
სასამართლო დავასთან დაკავშირებული ანარიცხი	76,538	-	-
სხვა ვალდებულებები*	94,420	3,164,997	6,167,069
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,673,944	24,181,067	10,353,392
არაფინანსური ვალდებულებები			
გადახდილი ავანსები	9,407	10,150	-
სულ არაფინანსური ვალდებულებები	9,407	10,150	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,683,351	24,191,217	10,353,392

(*) - სხვა ვალდებულებების ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს თამბაქოს დანადგარების მწარმოებელი კომპანიების - G.D S.p.A. მიმართ ვალდებულებებს 3,090,829 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2024 წლის 31 დეკემბერი: 0 ლარი). აღნიშნული ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

(**) - სავაჭრო ვალდებულებების ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს შვილობილი კომპანიების (შენიშვნა 1) წილის ნასყიდობის გადაუხდელობის ვალდებულებას, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 11,709,633 ლარს ოდენობით, (2023 წლის 31 დეკემბერი: 11,219,854 შესაბამისად).

22. ფინანსური რისკის მართვა**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დაეცეს.

სხვა საქმიანოებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22.ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	85,420,256	78,788,128	69,185,134
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	49,117	264,348	422,766
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,310,666	985,289	1,067,286
სულ ფინანსური აქტივები	86,780,039	80,037,765	70,675,186
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,673,944	24,181,067	10,353,392
საიჯარო ვალდებულებები	70,165,842	51,944,331	31,195,868
მიღებული სესხები	6,146,733	8,489,624	882,027
სულ ფინანსური ვალდებულებები	98,986,519	84,615,022	42,431,287

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- **დონე 2:** თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- **დონე 3:** არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება;

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს ფიქსირებული ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7.5%-დან 10%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

შპს „დღითი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 22%-დან 24%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის

ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფი საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,182,121	551,811	1,060,387
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	84,238,135	78,236,317	68,124,747
გაცემული სესხები	49,117	264,348	422,766
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	789,051	852,640	832,146
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	86,258,424	79,905,116	70,440,046

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ჯგუფის მენეჯმენტი ინდივიდუალური მიდგომით განიხილავს გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებს; მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში მე-17.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ყირგიზუ ლი სომი	სხვა	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,360	147,255	178,806	273,439	619,860
გაცემული სესხები	49,117	-	-	-	49,117

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	40,119	-	-	0	40,119
სულ აქტივები	109,596	147,255	178,806	273,439	709,096
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	(229,132)	(4,349,320)	-	-	(4,578,452)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(17,103,523)	(4,349,320)	(31,017)	-	(21,483,860)
საიჯარო ვალდებულებები	(34,033,643)	(35,239,924)	-	-	(69,273,567)
სულ ვალდებულებები	(51,366,298)	(43,938,564)	(31,017)	-	(95,335,879)
წმინდა მდგომარეობა	(51,256,702)	(43,791,309)	147,789	273,439	(94,626,783)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	127,089	156,638	369,292	653,019
გაცემული სესხები	114,141	-	-	114,141
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	241,316	-	-	241,316
სულ აქტივები	482,546	156,638	369,292	1,008,476
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(200,258)	(17,545,492)	(29,347)	(17,775,097)
საიჯარო ვალდებულებები	(35,143,903)	(15,044,936)	(487,398)	(50,676,237)
სულ ვალდებულებები	(35,344,161)	(32,590,428)	(516,745)	(68,451,334)
წმინდა მდგომარეობა	(34,861,615)	(32,433,790)	(147,453)	(67,442,858)

ლარის კურსის შესუსტება, როგორც ქვემოთ არის მითითებული, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შემცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი მოცემულია გადასახადების გამოკლებით და ეყრდნობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ისეთ ცვლებებს, რომლებიც კომპანიამ გონივრულ ფარგლებში შესაძლოდ მიიჩნია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები, უცვლელად დარჩება.

ანგარიშგების თარიღით არსებული კურსის ცვლილების ეფექტი				
	2024	2024	2023	2023
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
1 ლარი	(10,251,340)	10,252,340	(7,068,832)	7,068,832
1 აშშ დოლარი	(8,758,262)	8,758,262	(6,518,086)	6,518,086

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტრირებული ფულადი ნაკადებით.

შპს „დუთი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	7,878,457	62,287,385	70,165,842
მიღებული სესხები	5,950,679	196,054	6,146,733
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,683,351	-	22,683,351
სულ	36,512,487	62,483,439	98,995,926

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	10,425,390	41,518,941	51,944,331
მიღებული სესხები	8,373,401	116,223	8,489,624
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,191,217	-	24,191,217
სულ	42,990,008	41,635,164	84,625,172

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები.

23. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხები

კომპანიას ასევე გააჩნია სასამართლო დავა. ლუდმილა დადიანმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ მიმართ, სასამართლოს 2025 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლუდმილა დადიანის სარჩელი, და კომპანიას დააკისრა თანხის გადახდა 76,540 ლარის ოდენობით, აღნიშნულზე კომპანიას შექმნილი აქვს ანარიცხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი ვალდებულებები-სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს დავა შემოსავლების სამსახურთან. სარჩელის ღირებულება წარმოადგენს 2,050,545 ლარს (მოთხოვნა ძირითადი დავალიანების ნაწილში) და პირგასამტეხლოს, რომელიც გამომდინარეობს მოპასუხე შპს დუთი ფრი ჯორჯია-სთან გაფორმებული იჯარის და აღნაგობის ხელშეკრულებიდან, რომლის მიხედვითაც კომპანიას უნდა გადაეხადა აღნაგობის ღირებულება და საიჯარო ქირა. ხელმძღვანელობის პოზიციას, რომ შექმნილი ვითარება (Covid-19 პანდემია და მასთან დაკავშირებული შეზღუდვა/აკრძალვები) წარმოადგენს ფორს-მაჟორს, შესაბამისად მას არ უნდა დაეკისროს ანაზღაურება ვინაიდან ფორს-მაჟორის განმავლობაში გათავისუფლებული უნდა იყოს ვალდებულების შესრულებისგან. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არ არის საბოლოო, კომპანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარებული და წარდგენილი აქვს შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „დღითი ფრი ჯორჯია“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები. ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

31 დეკემბერი 2024

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

აქტივები	
გაცემული სესხები	49,117
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41,502

31 დეკემბერი 2023

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

აქტივები	
გაცემული სესხები	264,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	218,363

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

31 დეკემბერი 2024

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

ამონაგები	38,879
ფინანსური შემოსავალი	12,661

31 დეკემბერი 2023

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

ამონაგები	192,410
ფინანსური შემოსავალი	18,793

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2024 წელს შეადგინა 1,956,182 ლარი (2023: 1,340,411 ლარი).

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2025 წლის 30 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

გაცემული სესხები - 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით გასცა სესხები დაკავშირებულ მხარეებზე მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად 321,000 ლარი და 20 000 ევრო.

მიღებული სესხები - 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ ფინანსური ინსტიტუტებისგან საკრედიტო ხაზით დამატებით აიღო თანხა ჯამური ღირებულებით - 4,540,495 ევრო, ხოლო გადაიხადა -4,279,105 ევრო, კომპანიამ ასევე ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხი გადაიხადა ჯამური ღირებულებით - 4,269 დოლარი და 28,106 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება,
საქმიანობის მიმოხილვა



2024

ჯგუფის შესახებ

შპს დუტი ფრი ჯორჯია (მშობელი კომპანია) დაფუძნდა 2011 წლის 2 თებერვალს, ოპერირება და ძირითადი საქმიანობა დაიწყო 2012 წლის ივნისის თვიდან.

მშობელი კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში ბესიკის ქუჩა 4 ნომერში.

ჯგუფის ახლანდელი მენეჯმენტი საქმიანობას შეუდგა 2025 წლიდან და მნიშვნელოვანი ცვლილებები საოპერაციოს საქმიანობის მიმართულებით არ განხორციელებულა.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფის მისიაა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ქვეყნის იმიჯის ამაღლებას, ტურისტული ნაკადის მაღალი ხარისხით მომსახურებას, მათთვის საუკეთესო პირობებისა და სავაჭრო გარემოს, ხარისხიანი პროდუქციისა და კონკურენტული ფასების შეთავაზების გზით, შექმნას სასიამოვნო სამუშაო გარემო თანამშრომლებისათვის, ხელი შეუწყოს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და წინსვლის პერსპექტივის წახალისებას.

კომპანიის მიერ ფლობილი წილები სხვა საწარმოში არის შემდეგი:


კომპანია	ურთიერთობის სახე	2024	2023	2021	საქმიანობის სახე
Golden Duty Free S.A.*	შვილობილი	99.97%	99.97%	99.97%	სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია
Duty free helios s.r.o	შვილობილი	100%	100%	-	სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია
ООО "Хелиос Дьюти Фри"	შვილობილი	100%	100%	-	სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია

ორგანიზაციული სტრუქტურა

ფარუკ ილმაზი შპს დუტი ფრი ჯორჯიას გენერალური დირექტორი - აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნულია 2025 წლის მარტის თვიდან.

ნატა მელიწკაური შპს დუტი ფრი ჯორჯიას ფინანსური დირექტორი - აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნულია 2016 წლის მაისის თვიდან.

ჟენია დანკოვა შპს დუტი ფრი ჯორჯიას საოპერაციო მენეჯერი - აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნულია 2014 წლის იანვრის თვიდან.



საკანონმდებლო რეგულაციები

ჯგუფის ბიზნესი, სამეურნეო საქმიანობა და აღრიცხვიანობა აგებულია გამჭვირვალობის პრინციპზე მაღალი სამოქალაქო შეგნებით, ყველა იმ საკანონმდებლო რეგულაციების დაცვის კუთხით, რომელიც უშუალო შეხებაშია ჯგუფის საქმიანობასთან.

ჯგუფი საქართველოს საგადასახადო კოდექსის და მასში შემავალი კომპანიების ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იხდის ყველა იმ გადასახადს, რომელიც რელევანტურია მისთვის და ასევე სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დუთი ფრი ჯორჯიას საქმიანობას არეგულირებს საქართველოს მთავრობის დადგენილება №455 საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ჯგუფის პარტნიორები

ჯგუფის პარტნიორებს წარმოადგენენ მსოფლიოში აღიარებული ბრენდები პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში, აქსესუარების, თამბაქოს, ტკბილეულის და ალკოჰოლური პროდუქციის წარმოებასა და მოწოდებაში.

2014 წლიდან მოყოლებული ჯგუფი მუდმივად ხეწავს პროცედურებს, რომლებიც ხელს უწყობს შეკვეთების ოპტიმიზაციას, ლოჯისტიკური პროცედურების გამართვას, საქონლის ასორტიმენტის გაზრდას

ჯგუფის წარმატებაში ერთ ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მჭიდრო ურთიერთობები მომწოდებლებთან, განსაკუთრებით დუთი ფრის საქონლის მწარმოებელ და მომწოდებელ ფირმებთან, რომელთა უმრავლესობასთანაც ჯგუფს მიღწეული აქვს საქონლის ღირებულების გადახდის საშუალო პირობები, რაც დადებითად აისახება ჯგუფის ფულად ნაკადებსა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე.

ასევე აღსანიშნავია მოწოდებულ პროდუქციაზე ფასდაკლებების შეთანხმებული სისტემა და კონკრეტული პროდუქციის რეალიზაციის ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის მომწოდებლების მხრიდან მიღებული წახალისების პროგრამები, რაც აისახება იმ თანამშრომლების წახალისებასა და მოტივაციის ზრდაზე, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული მაღაზიებში პროდუქციის რეალიზებითა და მომხმარებლების მომსახურებით.

ჯგუფის მენეჯმენტი ყოველწლიურად ესწრება დუთი ფრის პროდუქციის გამოფენებს, სადაც საშუალება ეძლევათ გაეცნონ ახალ მწარმოებლებსა და მომწოდებლებს, გაიგონ ინოვაციების შესახებ ამ სფეროში, დაამყარონ პირდაპირი და პარტნიორული ურთიერთობები პროდუქციის უშუალო მომწოდებლებთან შუამავლების გარეშე და ხელი შეუწყონ სამომავლოდ პროდუქციის შეძენა რეალიზების ოპტიმალური სისტემის დანერგვას.

ჯგუფი, მისი იმიჯიდან გამომდინარე, რადგან იგი ზუსტად იცავს მომწოდებლების მიმართ ვალდებულებების შესრულების ვადებსა და პირობებს, მუდმივად აქვს სურვილი და პოტენციალი მიიღოს უფრო მეტი საშუალო პირობები, როგორც მომწოდებლების ასევე სატრანსპორტო კომპანიების მხრიდან.

სავაჭო ობიექტები

ჯგუფი, 2024 წლის განმავლობაში, საქართველოს საზღვრებზე ფლობდა შვიდ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტს, სადაც ძირითადად ხდება დუთი ფრის საქონლის მიწოდება მომხმარებლებისთვის. ეს ობიექტებია: სარფის სასაზღვო გამშვები პუნქტი, წითილი ხიდის სასაზღვო გამშვები პუნქტი, სადახლოს სასაზღვო გამშვები პუნქტი, ორი ობიექტი, ვალეს სასაზღვო გამშვები პუნქტი, კარწახის სასაზღვო გამშვები პუნქტი და ნინოწმინდის სასაზღვო გამშვები პუნქტი. ასევე ჯგუფის შემადგენლობაში შედის სლოვაკეთის რესპუბლიკის დედაქალაქში არსებული ორი სავაჭო ობიექტი, ყირგიზეთის დედაქალაქში არსებული ხუთი სავაჭო ობიექტი და ქალაქ ოშში არსებული ერთი სავაჭო ობიექტი. (დეტალებისთვის იხილეთ ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში)

2016-2017 წლებში ჯგუფმა მთლიანად შეცვალა მაღაზიების კონცეფცია და მოახდინა მათი სრული რეკონსტრუქცია მომხმარებლებისათვის ბრენდული და სხვა პროდუქციის ხილვადობის, ადვილად მოძებნისა და კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, ახალი კომფორტული გარემო შესაძლებლობას იძლევა, რომ მოზიდულ იქნას უფრო მეტი მათ შორის საკმაოდ პრეტენზიული მომხმარებელი რაც რა თქმა უნდა დადებითად აისახება ჯგუფის იმიჯსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ასევე, 2017/2018 წლებში სარფის სასაზღვო გამშვებ პუნქტთან სოფელ ადლიაში შპს დუთი ფრი ჯორჯიამ ააშენა ორი სასაწყობე შენობა, სარფის მაღაზიისთვის პროდუქციის სწრაფად და იაფად მიწოდების მიზნით.

ჯგუფი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ხელშეკრულებით ფლობს დაახლოებით 3200 კვადრატული მეტრის სასაწყობე და სავაჭო ფართს, სლოვაკეთის რესპუბლიკაში 302 კვადრატული მეტრის სასაწყობე და სავაჭო ფართს და ყირგიზეთის რესპუბლიკაში 783 კვადრატული მეტრის სასაწყობე და სავაჭო ფართს

2023 წელს ჯგუფმა განახორციელა ინვესტიციები სლოვაკეთსა და ყირგიზეთში, ხოლო საქართველოში გახსნა ორი ახალი სავაჭო ობიექტი სადახლოსა და ნინოწმინდის სავაჭო გამშვებ პუნქტებზე.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქონლით სავაჭო ვაჭრობა. ჯგუფი 2024 წლის განმავლობაში საქართველოში ემსახურებოდა სომხეთის, თურქეთის, რუსეთის ფედერაციის და საქართველოს სასაზღვრო ზონის


გადამკვეთ ყველა პირს. ხოლო სლოვაკეთსა და ყირგიზეთში, ბრატისლავას საერთაშორისო აეროპორტისა და ბიშკეკის მანასის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ვიზიტორებს. წლების განმავლობაში ჯგუფის პოტენციური კლიენტების რაოდენობა საქართველოში დაახლოებით შვიდ მილიონს შეადგენდა. ტურისტული ნაკადის ზრდის დადებითი დინამიკა ასევე დადებითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. საქართველოში 2023 წელს 2022 წელთან შედარებით მგზავრთა ნაკადი 30,32%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წელს 2023 წელთან შედარებით 4,2% - ით

ყირგიზეთში მგზავრთა დინამიკა ასევე ზრდადია და 2024 წლისთვის ექვსი მილიონი ადამიანი შეადგინა. რაც შეეხება სლოვაკეთში, ბრატისლავას აეროპორტის მონაცემებს ასე გამოიყურება: 2023 წელი 906,830 ვიზიტორი, 2024 წელი 974,004 ვიზიტორი

საქართველოში მგზავრთა დინამიკის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

<https://gnta.ge/ge>

ცხრილში მოცემულია მოგზაურების დინამიკა წლების მიხედვით.



ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ევრო. ვაჭრობა მიმდინარეობს სხვადასხვა ვალუტაში,

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ისეთი სახის პროდუქციას როგორიცაა: ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელი, ტკბილეული, პარფიუმერია კოსმეტიკა, თამბაქო, სათამაშოები, აქსესუარები. გარდა ამისა, შეთანხმებული პირობების მიხედვით ჯგუფი ახორციელებს მაღაზიებში სარკლამო რგოლებისა და ბანერების განთავსებას მომწოდებლების პროდუქციის რეკლამირების და ცნობადობის ამაღლების მიზნით, რაც ხელს უწყობს, როგორც კლიენტების მოზიდვას ასევე დამატებითი შემოსავლების მიღებას.

შვილობილი კომპანიები

შპს დუთი ფრი ჯორჯია ფლობს შვილობილ კომპანიას პარაგვაიში, სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ყირგიზეთის რესპუბლიკაში. პარაგვაიში კომპანიის შექმნა მოხდა 2018 წლის დასაწყისში. შექმნის მომენტში კომპანია ახორციელებდა მის ძირითად საქმიანობას დუთი ფრი ბიზნესს. სავაჭრო ობიექტები განთავსებული იყო ქალაქ ასუნსიონში, საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე. სულ კომპანია ფლობდა ოთხ სავაჭრო ობიექტს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა იყო გუარანი, თუმცა ვაჭრობა მიმდინარეობდა ხუთ სხვადასხვა ვალუტაში. კომპანიის მომხმარებლები იყვნენ მგზავრები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენებს. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობდა ისეთი სახის პროდუქციას როგორიცაა: ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელი, ტკბილეული, პარფიუმერია კოსმეტიკა, თამბაქო, სათამაშოები, აქსესუარები.

2019 წელს პარაგვაის საერთაშორისო აეროპორტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადდა ტენდერი სავაჭრო ობიექტების აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის. დუთი ფრი ჯორჯიას შვილობილმა კომპანიამ მიიღო ტენდერში მონაწილეობა მაგრამ განთავსების უფლება ვერ მოიპოვა. 2020 წელს დაიწყო და 2021 წელს გაგრძელდა პარაგვაიში არსებული კომპანიის ლიკვიდაციის პროცედურები რაც 2022 წლის მდგომარეობით კვლავ დასრულებული არ არის შედეგად, აღნიშნული შვილობილი კომპანიების ფინანსური გავლენა ჯგუფის

კონსოლიდირებულ შედეგებში არამატერიალურია.

Golden Duty Free S.A არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ყირგიზეთის რესპუბლიკაში კომპანიის შემენა მოხდა 2023 წლის 21 თებერვალს, შემენის მომენტში კომპანია ახორციელებდა მის ძირითად საქმიანობას დუთი ფრი ბიზნესს. სავაჭრო ობიექტები განთავსებულია ქალაქ ბიშკეკში საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე და ქალაქ ოშში. სულ კომპანია ფლობს ექვს სავაჭრო ობიექტს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის სომი, თუმცა ვაჭრობა მიმდინარეობს ხუთ სხვადასხვა ვალუტაში. კომპანის მომხმარებლები არიან მგზავრები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენებს. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ისეთი სახის პროდუქციას როგორიცაა: ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელი, ტკბილეული, პარფიუმერია კოსმეტიკა, თამბაქო, სათამაშოები, აქსესუარები.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში კომპანიის შემენა მოხდა 2023 წლის 09 თებერვალს, შემენის მომენტში კომპანია არ ახორციელებდა სავაჭრო ოპერაციებს. სავაჭრო ობიექტები განთავსებულია ქალაქ ბრატისლავას საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე. სულ კომპანია ფლობს ორ სავაჭრო ობიექტს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ევრო, ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ევროში. კომპანის მომხმარებლები არიან მგზავრები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენებს. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ისეთი სახის პროდუქციას როგორიცაა: ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელი, ტკბილეული, პარფიუმერია კოსმეტიკა, თამბაქო, სათამაშოები, აქსესუარები.

განვითარების გეგმები

შპს დუთი ფრი ჯორჯია არის ზრდაზე ორიენტირებული ჯგუფი, შესაბამისად, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მუდმივად იყენებს და მომავალშიც გეგმავს, რომ გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რაც მისცემს ქსელის გაფართოვების და ახალი თავისუფალი ვაჭრობის ობიექტების გახსნის საშუალებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯგუფმა უკვე განახორციელა ინვესტიციები როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.

დასაქმების პოლიტიკის მიმოხილვა


შპს დუთი ფრი ჯორჯიას მენეჯმენტს გააჩნია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა დასაქმებული პერსონალის მიმართ. მათთვის როგორც კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნის, ასევე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

ჯგუფს სავაჭრო ობიექტებში დასაქმებული ჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა, რითაც ხელი ეწყო ამ რეგიონების მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დამატებით ჯგუფი საკუთარ თანამშრომლებს სთავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევას და გაყიდვების სფეროში დაკავებულებს წახალისების პროგრამებს.

ჯგუფში გუნდური მუშაობა, აზრების გაზიარება, კორპორატიული ეთიკის პატივისცემა და დემოკრატიულობა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა


ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

დუთი ფრი ჯორჯიას საქმიანობის შედეგები წლების მიხედვით, თანხები მოცემულია ლარში




სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის რეალიზაცია კატეგორიების მიხედვით

2024



2023



(*) - ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია კატეგორიების მიხედვით დუთი ფრი საქონლის რეალიზაციის შესახებ მოიცავს პარკების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს.

ბიზნეს გარემო და ხელისშემშლელი ფაქტორები

კგუფის საქმიანობაზე კვლავინდებურად უარყოფითად ისახება, კოვიდ პანდემიის პერიოდში სხვადასხვა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე აღნაგობისა და იჯარის საფასურის პანდემიის პერიოდში მგზავრთა შემცირებულ ნაკადთან მისადაგების მიზნით დაწყებული დავები შემოსავლების სამსახურთან. დავების უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და ჯგუფს უძნელდება გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს ერთგვაროვანი პოზიციის ჩამოყალიბებამდე.

წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, აზერბაიჯანული მხარის მიერ დაწყებული კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო დღემდე შეზღუდულია მგზავრთა გადაადგილება სახმელეთო საზღვრებზე. შესაბამისად, კგუფი იძულებულია დახუროს წითელ ხიდზე არსებული პუნქტი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, შემოსავლების სამსახური მაინც ითხოვს აღნაგობის საფასურის სრულად გადახდას. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯგუფს სარჩელი აქვს შეტანილი ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. 2025 წლის მარტში აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება „სპეციალური საკარანტინო რეჟიმის“ 2025 წლის 1 ივლისამდე გახანგრძლივებასთან დაკავშირებით. ჯგუფს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ საკარანტინო რეჟიმი დიდი ალბათობით კიდევ უფრო დიდი ხნით გახანგრძლივდება, რადგან საზღვრის გახსნა აზერბაიჯანის მხარეს ჯერ კიდევ 2024 წლის 1 ივლისს ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ აღნიშნული ვადის მოახლოებისას, პერიოდულად ხდება რეჟიმის ვადის გახანგრძლივება, რაც დამატებითი გარემოებაა ჯგუფის საქმიანობისთვის.

თურქულ მხარეს მიმდინარე ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის სარემონტო სამუშაოების გამო 2023 წლის სექტემბრამდე არასრულად ოპერირებდა ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტი. კერძოდ, მგზავრებს გადაადგილება დღე-ღამეში მხოლოდ 8 საათის განმავლობაში შეეძლოთ, ნაცვლად ჩვეული 24 საათისა. სარემონტო სამუშაოების გამო, ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მგზავრთა ნაკადი საგრძნობლად იყო შემცირებული, რის გამოც ჯგუფი ითხოვს ვალეს აღნაგობის საფასურის მისადაგებას შეცვლილ გარემოებებისადმი, რასთან დაკავშირებითაც დავა შემოსავლების სამსახურთან იხილება ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

ჯგუფს მიაჩნია, რომ სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე შემოსავლების სამსახურთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ მხარეებს შორის უნდა მოხდეს სიკეთეთა სამართლიანი გაცვლა, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მიერ აუქციონებში შეთავაზებული მაღალი აღნაგობის ქირების სანაცვლოდ, ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს დაუბრკოლებლად მომუშავე საზღვრებზე ოპერირების უფლება და საზღვრების ჩაკეტვის შემთხვევაში, აღნაგობის ქირა უნდა შემცირდეს მგზავრთა ნაკადის შემცირების პროპორციულად. უსამართლოა, საზღვრებზე არსებული, ჯგუფის და შემოსავლების სამსახურის მიზეზებისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი დაბრკოლებების გამო, მთელი პასუხისმგებლობისა და ტვირთის მხოლოდ ერთი მხარისთვის დაკისრება.

ასევე ნიშანდობლივია 2023 წელს ლარის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ჩატარებული აუქციონის შედეგები. შემოსავლების სამსახურის მიერ აუქციონზე გამოტანილ იქნა ფართი, რომელიც აუქციონის ჩატარების შემდეგაც სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული სხვა ოპერატორს, რის გამოც ჯგუფმა ვერ შეძლო აუქციონში გამარჯვების შემდეგაც კი, ფართის ნორმალური დათვალიერება-შესწავლა და შეფასება. ფართიდან ოპერატორის გასვლის შემდეგ, ფართი აღმოჩნდა აუქციონის ჩატარებისგან განსხვავებულ მდგომარეობაში შესაბამისად, ჯგუფმა ვერ მოახერხა ბიჯის სათანადოდ შეფასება, რის გამოც ვაჭრობისას შესთავაზა არასწორი ფასი, ასევე ფართის აზომვისას გამოვლინდა ფართში მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც განაპირობა ხელშეკრულების გაუფორმებლობა და შემოსავლების სამსახურის მიერ

საგარანტიო თანხის დაუბრუნებლობა. აღნიშნული საკითხი კვლავინდებურად რჩება სადავოდ შემოსავლების სამსახურთან, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დავა მხარეთა შორის თბილისის სააპელაციოსასამართლოში.

კვლავინდებურად მოუგვარებელი რჩება თურქეთის საბაჟო სამსახურების მიერ დაწესებული დისკრიმინაციული დანაწესი, რომლის თანახმადაც თურქეთში სახმელეთო საზღვრით შემავალ მგზავრებს ერთი თვის განმავლობაში თურქეთში დაუდევლარირებლად შეუძლიათ შეიტანონ საქართველოს მხარეს არსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეძენილი საქონელი მხოლოდ ერთხელ, ხოლო თურქეთის მხარეს არსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეძენილი საქონელი ცხრაჯერ. რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ქართულ დეიტი ფრი ოპერატორებს, თურქეთის მხარეს არსებული შემოსვლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებთან ე.წ. „arrival duty free“-სთან მიმართებაში.

ასევე ყურადღებაა გასამახვილებელი საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, აუქციონის გარეშე, პირდაპირი წესით იჯარით და აღნაგობით გაცემულ ფართებზე, რომელთა იჯარისა და აღნაგობის საფასური მნიშვნელოვნად ნაკლებია ჯგუფის მიმდინარე საიჯარო ფასებთან შედარებით. სადახლოსა და წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე აუქციონის გარეშე გადაცემული ფართების ოპერატორი აქტიურად ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და არსებულ პირობებში ჯგუფი არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ასეთ ოპერატორთან მიმართებით დასაქმებულებისთვის სამუშაო პირობების შეთავაზებისა და საქონლის ფასის მარჯის მხრივ, რაც ასევე ქმნის არაჯანსაღ კონკურენციას. ჯგუფი აწარმოებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სასამართლო დავას საქართველოს მთავრობისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ფართების განკარგვაში, ფართების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. გარდა ამისა, დავა მიმდინარეობს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთან ფართების აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემის ფაქტზე საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადგენის მოთხოვნით. საქართველოს მთავრობასთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან სასამართლო დავების არსებობა ასევე შემაფერხებელი გარემოებაა ჯგუფის ეფექტური ოპერირებისთვის.

ჯგუფის ახალი ხელმძღვანელობის მიზანია, შეძლებისდაგვარად შემცირდეს ჯგუფის ადმინისტრაციული დავები სახელმწიფო ორგანოებთან, რათა ჯგუფი კონცენტრირდეს თავის კონკურენტულ უპირატესობებზე, დაამყაროს შემოსავლების სამსახურთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ჯანსაღი ურთიერთობები და მეტი ძალისხმევა დაუთმოს ჯგუფის კიდევ უფრო სტაბილურ და მძლავრ განვითარებას.

ჯგუფი მიმდინარედ აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას უწყვეტ რეჟიმში.

საკრედიტო რისკი ჯგუფს შეიძლება წარმოემყვას კონტრაგენტების მხრიდან არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან. ჯგუფის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება აისახება ფინანსურ მდგომარეობაში, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ნაწილში, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებში და მოთხოვნების ანგარიშებში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ნაღდი ფულისა და ფულადი დეპოზიტების უმეტესი ნაწილის დეპონირებით საქართველოში კარგად ცნობილ ბანკში. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც დეპოზიტები ინახება.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულებები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით, რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა.

რეგულირების რისკი - ჯგუფის მენეჯმენტი არ გამორიცხავს, რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს დარგთან დაკავშირებული დამატებითი რეგულაციები, რომლებმაც შესაძლოა შეზღუდონ და/ან უარყოფითად იმოქმედონ ჯგუფის საქმიანობასა და დარგზე.

ჯგუფის ფინანსური რისკების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

ახალი კორონა ვირუსის გავლენის შეფასება - 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

2020 წლის 16 მარტიდან ჯგუფის ყველა მაღაზია იყო დახურული, რადგან საქართველოს მთავრობამ დაკეტა სახელმწიფო საზღვრები. 2020 წლის ივნისიდან გაიხსნა ყველა სავაჭრო პუნქტი, თუმცა ჯგუფმა ჩვეულ რეჟიმში მუშაობა ვერ აღადგინა, რადგან სახელმწიფო საზღვრები კვლავ დაკეტილი იყო ჩვეულებრივი ვიზიტორებისთვის.

უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით 2021 წლის პირველი ივნისიდან საქართველოს სახმელეთო საზღვრები გაიხსნა უცხოელი ვიზიტორებისთვის, რამაც ჯგუფს საშუალება მისცა დაბრუნებოდა მუშაობის ჩვეულ რეჟიმს. მიუხედავად საქართველოს მხრიდან სახელმწიფო საზღვრების გახსნის გადაწყვეტილებისა, 2022 წლის აგვისტოსთვის მდგომარეობით, საქართველო აზერბაიჯანის საზღვარი კვლავ დაკეტილია აზერბაიჯანული მხარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც განაპირობებს ხუთი სავაჭრო ობიექტიდან ერთი ობიექტის თითქმის სრულ გაჩერებას.

ჯგუფი მიმდინარედ აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის კლიენტების უწყვეტ მომსახურებას ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 30 მაისი დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფ. ილმაზი

ფინანსური დირექტორი

ნ.მელიქაური

რეგულირების რისკი - ჯგუფის მენეჯმენტი არ გამორიცხავს, რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს დარგთან დაკავშირებული დამატებითი რეგულაციები, რომლებმაც შესაძლოა შეზღუდონ და/ან უარყოფითად იმოქმედონ ჯგუფის საქმიანობასა და დარგზე.

ჯგუფის ფინანსური რისკების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

ახალი კორონა ვირუსის გავლენის შეფასება - 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

2020 წლის 16 მარტიდან ჯგუფის ყველა მაღაზია იყო დახურული, რადგან საქართველოს მთავრობამ დაკეტა სახელმწიფო საზღვრები. 2020 წლის ივნისიდან გაიხსნა ყველა სავაჭრო პუნქტი, თუმცა ჯგუფმა ჩვეულ რეჟიმში მუშაობა ვერ აღადგინა, რადგან სახელმწიფო საზღვრები კვლავ დაკეტილი იყო ჩვეულებრივი ვიზიტორებისთვის.


უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით 2021 წლის პირველი ივნისიდან საქართველოს სახმელეთო საზღვრები გაიხსნა უცხოელი ვიზიტორებისთვის, რამაც ჯგუფს საშუალება მისცა დაბრუნებოდა მუშაობის ჩვეულ რეჟიმს. მიუხედავად საქართველოს მხრიდან სახელმწიფო საზღვრების გახსნის გადაწყვეტილებისა, 2022 წლის აგვისტოსთვის მდგომარეობით, საქართველო აზერბაიჯანის საზღვარი კვლავ დაკეტილია აზერბაიჯანული მხარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც განაპირობებს ხუთი სავაჭრო ობიექტიდან ერთი ობიექტის თითქმის სრულ გაჩერებას.

ჯგუფი მიმდინარედ აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის კლიენტების უწყვეტ მომსახურებას ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 30 მაისი დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



ფ. ილმაზი

ნ.მელიქაური